

ფსიქოსოციალური ადაპტაცია საჯარო სკოლის
მასწავლებლებსა და სპეციალურ მასწავლებლებში

მაია ჯიქურაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფსიქოლოგია (განათლების ფსიქოლოგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარინე ჯაფარიძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება ფსიქოსოციალური ადაპტაციის თავისებურებების შესწავლას მასწავლებლებსა და სპეციალურ მასწავლებლებში. აღნიშნული საკითხის კვლევა განათლების დარგის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია იმდენად, რამდენადაც მასწავლებლებისა და სპეციალური მასწავლებლების ჯანსაღი ფსიქიკა, ფსიქოლოგიური და სოციალური ადაპტაციის ადექვატური დონე პირდაპირ კავშირშია მოსწავლეებისათვის ხარისხიანი განათლების მიწოდებასთან. ნაშრომში ნაკვლევაა ისეთი პიროვნული მახასიათებლები, როგორცაა:

- ადაპტაცია
- ემოციური კომფორტი
- საკუთარი თავის მიღება
- სხვების მიღება
- ინტერნალიზაცია
- დომინირებისკენ სწრაფვა
- ესკაპიზმი (პრობლემებისგან გაქცევა)

კვლევაში გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები. ქართულ ენაზე ითარგმნა კვლევის ინსტრუმენტი - კარლ როჯერსისა და როზალინდ დაიმონდის ფსიქოსოციალური ადაპტაციის კითხვარი (Social psychological adaptation, K. Rogers and R. Diamond, 1954). რაოდენობრივი კვლევის შემდეგ ჩატარდა გამოკითხვა და თვისებრივი ანალიზის გზით შევეცადეთ, მოგვეძებნა უფრო დამაჯერებელი ახსნა მიღებული შედეგებისთვის. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს განათლების სფეროში სხვადასხვა პოზიციაზე მომუშავე ადამიანებმა (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები, დირექტორები, ყოფილი და მოქმედი მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებლები, განათლების ფსიქოლოგი). გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 15-მა ადამიანმა, რაოდენობრივ კვლევაში კი 108 ცდისპირმა, აქედან 54-მა მასწავლებელმა და 54-მა სპეციალურმა მასწავლებელმა.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მასწავლებელთა და სპეციალურ მასწავლებელთა უმრავლესობა ხასიათდება მაღალი ფსიქოსოციალური ადაპტაციის დონით, კერძოდ:

- სკალებზე „დომინირებისკენ სწრაფვა“ და „ესკაპიზმი“ მასწავლებლების და სპეციალური მასწავლებლების შემთხვევაშიც საშუალო მაჩვენებელი ნორმის ფარგლებშია;
- სკალებზე „ემოციური კომფორტი“, „საკუთარი თავის მიღება“, „სხვების მიღება“, „ადაპტაცია“ და „ინტერნალიზაცია“ მასწავლებლების და სპეციალური მასწავლებლების საშუალო პროცენტული მაჩვენებელი მაღალია;
- ყველაზე მაღალი საშუალო პროცენტული მაჩვენებელი ორივე შემთხვევაში დაფიქსირდა სკალაზე „საკუთარი თავის მიღება“;
- სკალების მიხედვით, სპეციალურ მასწავლებლებსა და მასწავლებლებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება აღმოჩნდა მხოლოდ „ემოციური კომფორტის“ და „ესკაპიზმის“ შემთხვევაში. „ემოციური კომფორტის“ სკალაზე სპეციალური მასწავლებლების საშუალო პროცენტული ქულა ჭარბობს, „ესკაპიზმის“ შემთხვევაში კი პირიქით. დანარჩენ შემთხვევებში განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ფსიქოსოციალური ადაპტაცია, სხვების მიღება, საკუთარი თავის მიღება (თვითაღქმა), ემოციური კომფორტი, ინტერნალიზაცია, ესკაპიზმი (პრობლემებისგან გაქცევა), დომინირებისკენ სწრაფვა

ABSTRACT

The master's thesis is dedicated to the study of psychosocial adaptation in teachers and special teachers. Study of this issue is one of the most important issues in the field of education, because healthy psyche of teachers and special educators and adequate level of psychological and social adaptation is directly related to providing students with high quality education. The work examines personal characteristics, such as:

- Adaptation
- Emotional Comfort
- Self-perception
- Perception of Others
- Internation
- Striving for Domination
- Escapism (Escaping from Problems).

There were used both- quantitative and qualitative research methods within the study. The tool -Social psychological adaptation (K. Rogers and R. Diamond,1954) was translated to Georgian. Quantitative research was followed by a survey, where we tried to find more convincing explanation for the results. Respondents of the study were People working on different positions in educational system (People working in The National Center for Teacher Professional Development, School Directors, Former and current teachers, special teachers, education psychologists). 15 people participated in the survey and 108 in quantitative research - 54 teachers and 54 special teachers. The results of the study showed that the majority of teachers and special teachers are characterized by almost every level of psychosocial adaptation; The exception is the scales of "striving for domination" and "escapism":

- On the scales of "striving for domination" and "escapism" in the both cases(teachers and special teachers) the average rate is within the norm;
- On the scales of " Emotional Comfort", "Self-Perception", "Perception of Others", "Adaptation", and „Internation" percentage rate of teachers and special educators are high.
- The highest average percentage rate in both cases are "the self-acceptance".

- According to the scales, the statistically significant difference between special teachers and teachers was in the case of "emotional comfort" and "escapism". On the above scale Special teachers are characterized with higher psychosocial adaptation. The difference is not statistically significant in other cases too.

Key words: Psychosocial adaptation, Self-Perception, Perception of Others, Emotional comfort, Internation, Escapism (Escaping fro problems), Striving for Domination.